



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.05.2021 წლის N 103/20<sup>1</sup>  
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

*მარიამ მიქავა (სტუდენტი)*

**ფაქტები**

2020 წლის 04 თებერვალს დააკავეს საჩივრის ავტორების ოჯახის წევრი, რის გამოც მათ სისხლის სამართლის საქმეზე საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით მიმართეს ადვოკატს. ამავე დღეს, მხარეებს (დაკავებული პირის ოჯახის წევრებს და ადვოკატს) შორის წერილობით გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია მხოლოდ გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში. მომჩივანმა მხარემ ადვოკატს მისი მოთხოვნისამებრ ჰონორარის სახით ხელზე გადასცა 2 000 ლარი. მხარეთა შორის აღნიშნული ფაქტი სადავოა. საჩივრის მიხედვით აღნიშნული თანხა საადვოკატო მომსახურების სრულად განხორციელებისთვის გადაეცა ადვოკატს, ხოლო ადვოკატის მტკიცებით, მოცემული თანხა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომამდე ჰონორარს შეადგენდა. აგრეთვე სადავოა ის ფაქტი, ჯამში რა თანხა განისაზღვრა საადვოკატო მომსახურების გაწევისთვის და ამ თანხიდან რამდენი ლარი იყო განკუთვნილი საპროცესო შეთანხმების დასადებად. მომჩივანი მხარის მითითებით, ადვოკატმა მათ საქმის შესრულებისთვის დამატებით 10 000 აშშ დოლარი მოსთხოვა. ვინაიდან მომჩივან მხარეს აღნიშნული თანხა სრულად არ ჰქონდა, მათ ადვოკატს ორ ეტაპად გადასცეს მოთხოვნილი თანხა. პირველ ეტაპზე 5 000 ლარი ხელზე, მეორე ეტაპზე 5 000 ლარი, რომელიც ადვოკატს მომჩივნის ბინაში გადასცეს, ასევე ხელზე. აგრეთვე, მომჩივანმა მხარემ მათივე ნათესავს გადასცა 7 000 ლარი, რათა ადვოკატთან ერთად „მოეგვარებინა“ საქმე. ამისგან განსხვავებით, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მომჩივნის მიერ წარმოდგენილი განმარტებით, ადვოკატს პირველ ეტაპზე გადასცა 5000 ლარი, მეორე ეტაპზე - 10 000 ლარი, მესამე ეტაპზე - 4 000 ლარი - სულ 19 000 ლარი და დამატებით ჰონორარი - 2 000 ლარი.

ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან მომჩივანი მხარის ნათესავს (ვინც პირველად დაუკავშირდა ადვოკატს) განუმარტა, რომ ბრალდებულის ინტერესების დაცვისთვის გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისთვის ჰონორარი შეადგენდა 20 000 აშშ დოლარს, აქედან, 2 000 ლარი უნდა გადაეხადათ ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომამდე, ხოლო დანარჩენი 2020 წლის 01 ოქტომბრამდე. ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში, ჰონორარი უნდა გადაეხადათ სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გადაწყვეტილების მიღებამდე ერთი დღით ადრე. მომჩივნის ნათესავმა ადვოკატს განუმარტა, რომ ბრალდებულის ოჯახი თანახმა იყო ჰონორარის გადახდაზე და მის მიერ შემოთავაზებულ პირობებზე.

აღკვეთი ღონისძიების სახით მსჯავრდებულს შეეფარდა წინასწარი ორთვიანი პატიმრობა. საჩივრის ავტორებს ადვოკატმა გარანტია მისცა, რომ კლიენტს პატიმრობიდან გაათავისუფლებდა. მომჩივანი მხარის განმარტებით, მან არ იცის ქართულად წერა-კითხვა და მიუხედავად იმისა, რომ ხელი მოაწერა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას, მოკლებული იყო შესაძლებლობას დეტალურად გაცნობოდა ხელშეკრულების შინაარსს. ამასთანავე, ხელშეკრულებაზე ხელი ქართულად აქვს მოწერილი.

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/62175cc92563b.pdf/103-20,%20ar%20agdzvra,%2028.05.21.pdf>

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა 14 წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის დადგომის შემდეგ, ადვოკატმა კლიენტის მოთხოვნისამებრ მას დაუბრუნა საქმის მასალები. ადვოკატს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი არ გაუსაჩივრებია აპელაციის წესით, რაზედაც უკმაყოფილება გამოხატეს საჩივრის ავტორებმა. საჩივრის ავტორებმა ადვოკატს მოსთხოვეს გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა უარი განაცხადა.

### **პროცესუალური ისტორია**

საჩივრის ავტორები ითხოვენ ადვოკატის დისციპლინირებას და მისთვის გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას.

### **სამართლებრივი შეფასება**

კოლეგიამ ადვოკატის ქმედება შეაფასა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.3, 8.5, 8.6, 8.8, 8.15 და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2 მუხლებთან შესაბამისობაში.

#### *ა) გარანტიის მიცემა (8.3).*

საადვოკატო მომსახურების დროს კლიენტისთვის საქმის შედეგებთან დაკავშირებით გარანტიის მიცემა დაუშვებელია. გარანტიის მიცემის აკრძალვა არ გულისხმობს კლიენტისთვის საქმის წარმოების დროს საქმის შედეგთან დაკავშირებული რისკების არ გაცნობას. პირიქით, ადვოკატი ვალდებულია საქმის გარშემო ყველა შესაძლო სამართლებრივი განვითარების შესახებ წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია კლიენტს, ვინაიდან მან მიიღოს ობიექტური, რაციონალური გადაწყვეტილება სადავო საქმეზე. მან თავად უნდა განსაზღვროს შედის თუ არა მის ინტერესებში საქმის სასამართლო გზით წარმოება. აღნიშნულ საქმეში არ არის წარმოდგენილი სარწმუნო მტკიცებულება, მათ შორის რაიმე სახის წერილობითი დოკუმენტი, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ადვოკატის მიერ საქმის შედეგთან დაკავშირებით გარანტიის მიცემის აკრძალვის ეთიკური ვალდებულების შესაძლო დარღვევის დადგენა.

#### *ბ) კლიენტის ინფორმირება/კეთილსინდისიერი, კვალიფიციური მომსახურება (8.6, 8.5).*

ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2). ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს უშუალოდ რას მოხმარდება მის მიერ გადახდილი თანხა. კლიენტი უფლებამოსილია იცოდეს თანხა რომელიც გადაიხადა იყო ადვოკატის მომსახურების გაწევის საზღაური თუ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა სახის ხარჯი. აგრეთვე, ადვოკატმა წინასწარ უნდა განსაზღვროს ჰონორარის ოდენობა, მისი გაანგარიშების წესი და გადახდის თარიღი. საქმეში მტკიცებულებად წარმოდგენილი იყო „საჰონორარო შეთანხმება“ საადვოკატო მომსახურების შესახებ, რომელსაც კლიენტმა საკუთარი ნებით მოაწერა ხელი. მართალია კლიენტმა აღნიშნა, რომ ის სრულყოფილად არ ფლობს ქართულ ენას, თუმცა დაადასტურა ისიც, რომ ადვოკატსა და მომჩივანს შორის დიალოგი ქართულ-რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. კლიენტი უთითებდა, რომ ადვოკატს ხელშეკრულების რეალური შინაარსი არ განუმარტავს. ვინაიდან, დადასტურდა, რომ მომჩივანს ადვოკატისგან არ ჰქონდა შეზღუდული გაცნობოდა ხელშეკრულების შინაარს, საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას დაადგინოს მიაწოდა თუ არა ადვოკატმა კლიენტს სწორი ინფორმაცია. ამავდროულად, ეთიკის კომისიის კომპეტენციას არ განეკუთვნება

შეაფასოს ხელშეკრულების ბათილობის საკითხი. მომჩივანთა წარმომადგენლის განცხადებით, შეთანხმების ნამდვილობის თაობაზე დავა სასამართლოში მხარეთა შორის ჯერ არ დაწყებულა. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და ისე განახორციელოს მისი წარმომადგენლობა. ადვოკატისთვის კლიენტის ინტერესები უპირატესია, ამიტომ მან კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის ინტერესების დასაცავად. ადვოკატმა პროფესიული ცოდნა და გამოცდილება უნდა მიმართოს კლიენტის კანონიერი ინტერესის დაკმაყოფილებისკენ.

*გ) ჰონორარის განსაზღვრა/გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება (8.8, 8.15).*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლი ადვოკატს ავალდებულებს დაიცვას პროპორციულობის პრინციპი გაწეულ საადვოკატო მომსახურებასა და მიღებულ ჰონორარს შორის. მხარეთა შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით, ადვოკატს საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწიას მხოლოდ გამოძიების ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში. საქმეში წარმოდგენილი სხდომის ოქმის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებულ ბოლო სხდომას ადვოკატი ესწრებოდა. აღნიშნულ სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ მისმა კლიენტმა აღიარა დანაშაული და უდავოდ იქნა ცნობილი ფაქტები მის მიერ. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი და განმარტა მისი გასაჩივრების უფლება. შესაბამისად, ადვოკატმა შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობა.

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა მომჩივანთა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა არ გაასაჩივრა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან, ცალსახაა, ადვოკატს ხელშეკრულებით ამის ვალდებულება არ გააჩნდა. აქედან გამომდინარე, ადვოკატს უფლება აქვს მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ჰონორარი.

## **დასკვნა**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რადგან არ დადასტურდა ადვოკატის მხრიდან გარანტიის მიცემის, კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის, კლიენტის ინფორმირების, ჰონორარის ოდენობის განსაზღვრისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის პროპორციული ოდენობის კლიენტისათვის დაბრუნების ეთიკური ვალდებულებების (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის 8.3, 8.5, 8.6, 8.8, 8.15 მუხლების) დარღვევა.